ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 411

"16" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი კონსტანტინე გამსახურდია, №37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით, თამაზ ხარაიძისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ხარაიძისთვის (პ/ნ. 01010004194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის № 24.1309.1438 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი კონსტანტინე გამსახურდია, №37-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.13.013.036) პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, თამაზ ხარაიძისთვის (პ/ნ. 01010004194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე